IBSU

შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი
ხარისხის მართვის სისტემის დოკუმენტაცია

სამართლისა და სახელმწიფო მმართველობის სკოლის სამეცნიერო ჟურნალის დებულება

დამტკიცებულია ფაკულტეტის საბჭოს მიერ 22/06/2022წ. - ოქმი №23 (დანართი №1)

დამტკიცებულია

ქვემოთ მოცემული ხელმოწერები ადასტურებს, რომ აღნიშნული დოკუმენტი წაკითხული და მიღებულია.
ხელმოწერის ავტორები ადასტურებენ, რომ ისინი ნამდვილად ფლობენ წინამდებარე დოკუმენტში არსებულ ინფორმაციას და უზრუნველყოფენ მასში ასახული პირობების განხორციელებას.

მოამზადა:	სამართლის ფაკულტეტის დეკანი	_____
დაამტკიცა:	სამართლის ფაკულტეტის საბჭო	_____

დოკუმენტის No: IBSU.R39G		ვერსია: 1.00 განახლების თარიღი:18/11/2022 დამტკიცების თარიღი: 22/06/2022
შეუმოწმებელი ვერსია ☐	შემოწმებული ვერსია ☑	

შზსუ-ს კუთვნილი დოკუმენტაცია.
წინამდებარე დოკუმენტით სარგებლობამდე, დარწმუნდით, რომ დოკუმენტს აქვს ბოლო განახლების ნომერი ხარისხის მართვის დოკუმენტაციის პლატფორმაზე მისი შემოწმების გზით. ცვლილებების მოთხოვნის შემთხვევაში, მიმართეთ დოკუმენტის მომზადებაზე პასუხიმგებელ ერთეულს.

შინაარსი

შეტანილი ცვლილებები 3
ცვლილებების ნუსხა 4
მუხლი 1 ზოგადი დებულებები 5
მუხლი 2 ჟურნალის მისია და მიზნები 5
მუხლი 3 ჟურნალის საქმიანობის ორგანიზება 5
მუხლი 4 ჟურნალში გამოსაქვეყნებელი ნაშრომების საავტორო უფლებები, ნაშრომის მიღებისა და შერჩევის წესი 6
მუხლი 5 ნაშრომის წარმოდგენის წესი და ნაშრომისთვის დადგენილი მოთხოვნები 6
მუხლი 6 ნაშრომის გამოქვეყნების საკითხის გადაწყვეტა 10
მუხლი 7 ეთიკის საკითხები და დარღვევებზე რეაგირება 10
მუხლი 8 დასკვნითი დებულებები 11

შეტანილი ცვლილებები

#	გადაწყვეტილების მიმღები ორგანო	გადაწყვეტილების №	თარიღი
1.	სამართლისა და სახელმწიფო მმართველობის სკოლის საბჭო	43	18.11.2022

თავდაპირველი რედაქცია: 22.06.2022

ცვლილებების ნუსხა

#	თარიღი	მუხლი	შენიშვნა
01	18.11.2022	1.1	ზოგადი დებულებები
02	18.11.2022	3.3	ჟურნალის საქმიანობის ორგანიზება
03	18.11.2022	4.3	ჟურნალში გამოსაქვეყნებელი ნაშრომების საავტორო უფლებები, ნაშრომის მიღებისა და შერჩევის წესი
04	18.11.2022	8.1	დასკვნითი დებულებები

მუხლი 1 ზოგადი დებულებები

1.1 შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის სამართლისა და სახელმწიფო მმართველობის სკოლის ორენოვანი სამეცნიერო ჟურნალი **„თანამედროვე სამართლის ჟურნალი“** – (ინგლისურ ენაზე **„Contemporary Law Journal”**) (**ISSN 2587-5051, e-ISSN 2587-5140**) წარმოადგენს პერიოდულ საერთაშორისო რეფერირებად და რეცენზირებად გამოცემას, რომლის მიზანია სამეცნიერო, კვლევითი, პრაქტიკული საქმიანობისა და აკადემიური დისკუსიის გაღრმავების ხელშეწყობა.

1.2 ჟურნალი გამოიცემა წელიწადში ერთხელ ქართულ და ინგლისურ ენებზე.

ცვლილებები შეტანილია სკოლის საბჭოს 2022 წლის 18 ნოემბრის გადაწყვეტილებით, ოქმი №43

მუხლი 2 ჟურნალის მისია და მიზნები

2.1 ჟურნალის მისიაა სამართლის დარგისა და სამოქალაქო საზოგადოების განვითარებაში წვლილის შეტანა.

2.2 ჟურნალის მიზნებია: სამართლის დარგში აქტუალურ საკითხებზე მნიშვნელოვანი სამეცნიერო კვლევების წარმოჩენა; ეროვნული და საერთაშორისო საზოგადოებისთვის მათი გაცნობა; სამეცნიერო კვლევითი საქმიანობით ქართული სამართლის ევროპულ და საერთაშორისო სამართლის სივრცეში ინტეგრაციის პროცესის ხელშეწყობა.

მუხლი 3 ჟურნალის საქმიანობის ორგანიზება

3.1 ჟურნალის საქმიანობას ორგანიზებას უწევს ჟურნალის რედაქცია, რომელიც შედგება რედაქტორ(ებ)ისა და სარედაქციო კოლეგიისგან.

3.2 ჟურნალის სარედაქციო კოლეგიის შემადგენლობა განისაზღვრება არანაკლებ 7 (შვიდი) წევრით.

3.3 სარედაქციო კოლეგიის წევრების არჩევა ხდება უნივერსიტეტის სამართლისა და სახელმწიფო მმართველობის სკოლის საბჭოს მიერ, ხმათა უმრავლესობით, რედაქტორ(ებ)ის წარდგინებით.

3.4 რედაქციის უფლებამოსილებებია:

ა) დაადგინოს სტატიების აკადემიური სტანდარტები;

ბ) დაადგინოს ჟურნალისთვის სტატიების შერჩევის კრიტერიუმები;

გ) განსაზღვროს ჟურნალის საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა საკითხები.

3.5 სარედაქციო კოლეგია გადაწყვეტილებებს იღებს დამსწრეთა უმრავლესობით.

ცვლილებები შეტანილია სკოლის საბჭოს 2022 წლის 18 ნოემბრის გადაწყვეტილებით, ოქმი №43

მუხლი 4 ჟურნალში გამოსაქვეყნებელი ნაშრომების საავტორო უფლებები, ნაშრომის მიღებისა და შერჩევის წესი

4.1 ნაშრომზე არაქონებრივი საავტორო უფლებები რჩება ნაშრომის ავტორს.

4.2 ჟურნალში გამოსაქვეყნებლად ნაშრომების შერჩევა ხდება ღია კონკურსით ან რედაქციის მიერ შემუშავებული სპეციალური წესით (საპატიო ნაშრომის გამოქვეყნება).

4.3 კონკურსი ცხადდება უნივერსიტეტისა და სკოლის ვებ-გვერდებისა და სოციალურ მედიაში უნივერსიტეტის გვერდების საშუალებით.

4.4 კონკურსის შესაბამისი ეტაპები და მათთვის განსაზღვრული ვადები დგინდება რედაქციის მიერ.

4.5 კონკურსში მონაწილე პირებმა უნდა წარმოადგინონ განაცხადი და ნაშრომები წინამდებარე დებულებით განსაზღვრული მოთხოვნების დაცვით.

ცვლილებები შეტანილია სკოლის საბჭოს 2022 წლის 18 ნოემბრის გადაწყვეტილებით, ოქმი №43

მუხლი 5 ნაშრომის წარმოდგენის წესი და ნაშრომისთვის დადგენილი მოთხოვნები

5.1 საავტორო განაცხადისა და გამოსაქვეყნებელი ნაშრომი მიიღება წარმოებს ელექტრონული ფოსტით.

5.2 ნაშრომი წარმოდგენილი უნდა იყოს MS Word - ის ფორმატში, შესრულებისას გამოიყენება sylfaen-ის ფონტი, ნაშრომის მოცულობამ არ უნდა გადააჭარბოს 25 გვერდს (დაახლოებით 40 000 სიტყვა), შრიფტის ზომა - 11 და დაშორება - 1.5. კიდეების ზედა და ქვედა ზღვარი უნდა იყოს: 2.5 სმ, მარცხნივ და მარჯვნივ 2.5 სმ.

5.3 სამეცნიერო ნაშრომი შესრულებული უნდა იყოს ქართულ და ინგლისურ ენაზე (ამერიკული ან ბრიტანული სტანდარტით). სტანდარტების შერევა არ შეიძლება.

5.4 დაუშვებელია ჟურნალში გამოსაქვეყნებელ ნაშრომებში პლაგიატი. ავტორმა უნდა უზრუნველყოს ნაშრომში მოცემული ინფორმაციის წყაროს ზუსტი და სწორი მითითება.

5.5 ნაშრომი უნდა მოიცავდეს:

ა) **ავტორის ვინაობას** (სახელი და გვარი, აკადემიური ხარისხი (არსებობის შემთხვევაში) თანამდებობა. განაცხადში ეთითება სრული საფოსტო მისამართი, ქვეყანა, ელექტრონული ფოსტა და ტელეფონის ნომერი, (შესაძლებლობის შემთხვევაში);

ბ) **სათაურს** (სათაური წარმოდგენილი უნდა იყოს გამუქებული ფონტით);

გ) **აბსტრაქტს** (მოიცავს მოკლე ინფორმაციას (200-300 სიტყვა) სტატიის შინაარსის შესახებ (ქართულ და ინგლისურ ენებზე);

დ) **საკვანძო სიტყვებს** (Key words): 4-6 სიტყვა, რომელიც მაქსიმალურად ასახავს ნაშრომის შინაარსს;

ე) **შესავალს** (მოიცავს ნაშრომის აქტუალობას);

ვ) **ძირითად ტექსტს;**

ზ) **დასკვნას** (მოიცავს მიგნებებს, შესაძლო რეკომენდაციებსა და სამომავლო პერსპექტივებს).

5.6 სქოლიოს მიზნებისათვის გამოიყენება sylfaen, შრიფტის ზომა-9.

5.7 აბრევიატურები (აკრონიმები), ძირითადი ტექსტის გაფორმებისა და ციტირების სტანდარტები.

ციტირება:

ა) სასურველია, საყოველთაოდ მიღებული და გავრცელებული აკრონიმების გამოყენება (მაგ., ა.შ., წ.). ზოგიერთ შემთხვევაში დაიშვება ასევე ნაკლებად ცნობილი აბრევიატურების გამოყენებაც (მაგ., სსკ - საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, შკ. - შრომის კოდექსი, ცესკო - ცენტრალური საარჩევნო კომისია და სხვა). პირველი გამოყენებისას აკრონიმი მიეთითება ფრჩხილებში სრული დასახელების შემდეგ;

ბ) ნორმატიული აქტის ციტირებისას მიეთითება აქტის სრული დასახელება, მიღების თარიღი, ნომერი და ვებ მისამართი საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალური ინტერნეტ საიტიდან (ქართული აქტის შემთხვევაში); უცხოური ნორმატიული აქტების შემთხვევაში, - შესაბამისი ვალიდური ინტერნეტ გვერდი (ოფიციალურ ვებ-გვერდი) ან ბეჭდური გამოცემის სრული მონაცემები წიგნისთვის, კრებულისთვის და ა.შ. მყარი პუბლიკაციის მითითების წინამდებარე სტანდარტების დაცვით.

გ) გვარები (სახელთან ან ინიციალთან ერთად საჭიროებისას) და ლათინური ტერმინოლოგია ტექსტში წარმოდგენილი უნდა იყოს დახრილი (italic) სახით; ეს წესი მოქმედებს როგორც ქართული, ისე

ინგლისური ტექსტისათვის. უცხოენოვანი სხვა ჩანართები ძირითად (ქართულ) ტექსტში კეთდება დახრის გარეშე. უცხოური ტერმინები და გამოთქმები უნდა გადმოიცეს სქოლიოში, თუ ნაშრომის უშუალო მიზანი არ არის ტერმინის წარმოშობის დადგენა.

დ) სათანადოა მითითება, თუ ციტატა მოიყვანება ბრჭყალებში და სქოლიო ფორმდება ქვემოთ მოცემული წესების მიხედვით. პერიფრაზის ან ცალკეული აზრის ფორმირების წყაროს მითითებისას გამოიყენება შესაბამისი სიტყვა: „იხ.“ ან „შეად.“. „შეადარე“ მაშინ გამოიყენება, როდესაც ავტორს სჭირდება განსხვავებულ აზრზე მითითება.

ე) ძირითად ტექსტში დასაშვებია მხოლოდ ნაშრომის სათაურთან უშუალო კავშირში მყოფი ან ასახული მიზნის მისაღწევად აუცილებელი ინფორმაციისა თუ ანალიზის მითითება. დამატებითი ინფორმაცია შესაძლებელია, მიეთითოს სქოლიოში.

ვ) ქართული ტექსტისათვის უნდა გამოვიყენოთ „ქვედა“ და „ზედა“ („...“) ბრჭყალები, უცხოენოვანი ტექსტისთვის “ზედა“ (“...”) ბრჭყალები;

ზ) ციტირებული ტექსტის ბოლოს სასვენი ნიშნები - წერტილი, ორწერტილი, წერტილ-მძიმე, კითხვისა და ძახილის ნიშნები დაისმის ბრჭყალის წინ, როდესაც ისინი ასრულებენ წინადადებას და ბრჭყალის შემდეგ, კონტექსტის მიხედვით, თუ ეს ბრჭყალი ეკუთვნის ცალკეულ სიტყვას ან ფრაზას;

თ) როდესაც სიტყვასთან ერთდროულად თავს იყრის ბრჭყალი, სასვენი ნიშანი და სქოლიოს ნიშანი, უნდა დავიცვათ შემდეგი თანმიმდევრობა: 1. ბრჭყალი, 2. სასვენი ნიშანი, 3. სქოლიოს ნიშანი (თუ სქოლიო არ ეკუთვნის ბრჭყალის შიგნით რომელიმე ტერმინს); ციტირებული ტექსტის (წინადადების) ბოლოს კი: 1. სასვენი ნიშანი, 2. ბრჭყალი, 3. სქოლიოს ნიშანი. ერთად არ იწერება ორი ბრჭყალი. ფრჩხილების შემთხვევაში კი შეიძლება მათი განსხვავებული ნორმების გამოყენება.

5.8 **ლიტერატურული წყაროების გამოყენებისას აუცილებელია მიეთითოს:**

ა) **წიგნისთვის** - ავტორის (ავტორების) გვარი, სახელის ინიციალი, წიგნის სათაური (ბრჭყალების გარეშე), ნაწილის, ნაკვეთის, ტომის ნომერი (თუ საჭიროა), გამომცემელი, გამოცემის ადგილი, წელი, გვერდი (გვ.-ს გარეშე);

ბ) **კრებულის სტატიისთვის** - სტატიის ავტორ(ებ)ის გვარი, სახელის ინიციალი, სტატიის სათაური (ბრჭყალების გარეშე), კრებულის სახელწოდება (ბრჭყალების გარეშე), მითითებით, თუ ვისი რედაქციით გამოდის, ნაწილის, ნაკვეთის, ტომის ნომერი (თუ საჭიროა), გამომცემელი, გამოცემის ადგილი, წელი, გვერდი (გვ.-ის გარეშე);

გ) **ჟურნალის (გაზეთის) სტატიისთვის** - სტატიის ავტორ(ებ)ის გვარი, სახელის ინიციალი, სტატიის სათაური (ბრჭყალების გარეშე), პერიოდიკის სახე შემოკლებით (ჟურნ., გაზ.,) სახელწოდება (ბრჭყალებში), ნომერი, წელი (თვე, რიცხვი), გვერდი (გვ.-ს გარეშე); უცხოური წყაროების ყველა ბიბლიოგრაფიული ელემენტი უნდა მიეთითოს ორიგინალის ენაზე, ან იმ ენაზე, რომელზეც მას ეცნობა ავტორი (შესაბამისი ოფიციალური თარგმანის მითითებით).
ქართული წყაროები ინგლისურ თარგმანში ეთითება თარგმნილი სახით ქართული მითითებისათვის იდენტური სტანდარტით.
მასალა, რომელიც მოპოვებულია ინტერნეტის საშუალებით, საჭიროებს შესაბამისი ინტერნეტ გვერდისა და ამ უკანასკნელის ბოლო განახლების თარიღის მითითებას; სტატიის შემთხვევაში უნდა მიეთითოს ავტორის გვარი, სტატიის სათაური, ინტერნეტ გვერდი, თარიღი. სამკუთხედ ფრჩხილებში (<....>) მიეთითება ელექტრონული მისამართი, კვადრატულ ფრჩხილებში ([....]) კი ბოლო განახლების თარიღი.

დ) საერთაშორისო სასამართლოსა და სხვა ქვეყნების გადაწყვეტილებებისათვის:
საქმეებისა და მათი გადაწყვეტილებების სახელწოდებები ტექსტში გამოიყენება ქართულად, სრულად კი ორიგინალის ენაზე შეიძლება იქვე მიეწეროს, ან სქოლიოში მიეთითოს შემდეგი თანმიმდევრობით: მხარე მხარის წინააღმდეგ, წელი, გამომქვეყნებელი ორგანო, გვერდი, სასამართლო. შესაძლებელია ასევე ინტერნეტ ოფიციალურ ვებგვერდზე ოფიციალური მითითიების სტანდარტის გამოყენება.
მაგ.: დიდი ბრიტანეთის სასამართლოებისთვის: საქმე არგილი არგილის წინააღმდეგ (Argyll v. Argyll, [1967] 1Ch 302,324, .332))

ე) ეროვნული სასამართლოების გადაწყვეტილებებისათვის:
აუცილებელია ოფიციალური ეროვნული სტილის შენარჩუნება. ერთგვაროვანი ეროვნული მიდგომის არარსებობის შემთხვევაში ავტორმა უნდა იხელმძღვანელოს შემდეგი ძირითადი წესით:

საქართველოს სასამართლო გადაწყვეტილებების გამოყენებისას უნდა გამოიყოს შემთხვევები:

1. გადაწყვეტილება გამოქვეყნებულია;
2. შესაძლებელია მისი გაცნობა ოფიციალურ ელექტრონულ წყაროში;
3. ხელმისაწვდომია მხოლოდ სასამართლო არქივში და ჩამოყალიბდეს ერთიანი მიდგომები.

საერთაშორისო ორგანიზაციათა დოკუმენტების დამოწმების წესი: გამოიყენება იმ სტილით, რომელიც გამოყენებულია ოფიციალურად საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ (იხ. ოფიციალური ვებ-გვერდები).

კონვენციებისა და საერთაშორისო ხელშეკრულებების მითითება: კონვენციები და საერთაშორისო ხელშეკრულებები მიეთითება, მაგ.: 1985 Vienna Convention for the Protection of the Ozone Layer, International Legal Materials, 1985, 1520.

მუხლი 6 ნაშრომის გამოქვეყნების საკითხის გადაწყვეტა

6.1 თუ ნაშრომს აქვს ტექნიკური ხარვეზ(ებ)ი და არ შეესაბამება წინამდებარე დებულებით მოთხოვნილ სტანდარტს, ამის შესახებ ეცნობება ავტორს და ეძლევა მას გონივრული ვადა (არაუმეტეს 10 კალენდარული დღისა) ხარვეზების გამოსასწორებლად.

6.2 შინაარსობრივი რეცენზირებისათვის ნაშრომი ეგზავნებათ დარგობრივი მიმართულების შესაბამისად სარედაქციო კოლეგიის ერთ-ერთ წევრს, რომელიც უზრუნველყოფს ნაშრომის დახურულ (blind) რეცენზირებას. ნაშრომის ავტორისთვის ასევე არ არის ცნობილი რეცენზანტის/რეცენზანტების ვინაობა.

6.3 თუ ნაშრომი ინტერდისციპლინარულია, იგი შეიძლება გაეგზავნოს ორ ან მეტ დარგობრივ მიმართულებას რეცენზირებისთვის.

6.4 რეცენზირების ვადა შეადგენს 15 (თხუთმეტი) კალენდარულ დღეს.

6.5 შერჩეული ნაშრომების ავტორებს კოლეგიის გადაწყვეტილების შესახებ ეცნობებათ ელექტრონული ფოსტის საშუალებით.

მუხლი 7 ეთიკის საკითხები და დარღვევებზე რეაგირება

7.1 ჟურნალის რედაქცია არ არის პასუხისმგებელი გამოცემის ავტორთა მიერ ინდივიდუალურად გამოთქმულ შეხედულებებზე.

7.2 ჟურნალში გამოქვეყნებულ ნაშრომში აღმოჩენილი დარღვევის შემთხვევაში, ნებისმიერ პირს აქვს უფლება, მიმართოს ჟურნალის რედაქციას ელ-ფოსტის მეშვეობით და მოითხოვოს საკითხის შესწავლა და შესაბამისი რეაგირება.

7.3 სარედაქციო კოლეგია ვალდებულია, ყველა ასეთი განაცხადი განიხილოს გონივრულ ვადაში და დასაბუთებული პასუხი აცნობოს განმცხადებელს. განაცხადის თაობაზე ავტორს/ავტორებს ეძლევათ შესაძლებლობა, საკუთარი განმარტება წარმოადგინონ.

7.4 დარღვევის დადასტურების შემთხვევაში, სარედაქციო კოლეგია იღებს გადაწყვეტილებას რეაგირების შესახებ. გამოცემის მომდევნო ნომერში უნდა აისახოს შესაბამისი გადაწყვეტილება სათანადო დასაბუთებით.

მუხლი 8 დასკვნითი დებულებები

8.1 წინამდებარე დებულება ძალაში შედის სკოლის საბჭოს მიერ მისი დამტკიცებისთანავე.

8.2 წინამდებარე დებულებაში ნებისმიერი ცვლილების შეტანა შესაძლებელია მისი მიღებისათვის დადგენილი გზით.

8.3 წინამდებარე დებულების შესრულებაზე ზედამხედველობა განხორციელდება სასწავლო და სამეცნიერო დარგში პრორექტორის მიერ.

ცვლილებები შეტანილია სკოლის საბჭოს 2022 წლის 18 ნოემბრის გადაწყვეტილებით, ოქმი №43

უნივერსიტეტის წესების შეუსრულებლობა დაუშვებელია. ყველა ვალდებულია იცნობდეს შზსუ-ს მიერ შემუშავებულ წესებსა და რეგულაციებს.

შზსუ ყველას თანაბარ შესაძლებლობებს სთავაზობს, განურჩევლად სქესის, რასის, ეროვნების, წარმომავლობის, რწმენის, საზოგადოებრივი სტატუსის, ფიზიკური, გონებრივი, ემოციური სხვაობისა და სწავლის განსხვავებული უნარისა.

<u>**გამოსცა:**</u>

შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი

დავით აღმაშენებლის ხეივანი, 13 კმ., 2, 0131

თბილისი, საქართველო

<u>www.ibsu.edu.ge</u>

contact@ibsu.edu.ge

IBSU